


# დღეს ჩვენს რესპუბლიკას საზიოოდ გადაეცემა საკავშირო ბარდაგაველი წითელი დროსა კვირფას ჯილდოს ბილოცავით, მებობრებო!



ფიზკულ-  
ტურელებო და  
სპორტსმენებო,  
გამრავლოთ  
ჩვენი წვლილი  
სამშობლო  
ქვეყნის  
მიღწევებში!

პროლეტარიატო ყველა მკვანისა, შეერთდით!



№ 46  
(6607)

1980 წ.  
მარტი,  
6  
სუთაბათი  
ფასი 3 კპ.

საპარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და  
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ЛЕЛО** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете  
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის  
1984 წლის  
13 აპრილიდან

კიდევ ერთ საყოველთაო  
გამარჯვებას ზაიმობს დღეს  
ჩვენი რესპუბლიკა. 1979  
წლის სრულიად საკავშირო  
სოციალისტური შეჯიბრების  
შედეგების მიხედვით საპარ-  
ტველო ჯილდოდ მივიღეთ  
დაჯილდოვდა სსრკ ცენტრალ-  
ური კომიტეტის, სსრ კავ-  
შირის მინისტრთა საბჭოს,  
საკავშირო პროფკავშირთა და  
სპორტის საკავშირო ალკმ  
ცენტრალური კომიტეტის გა-  
რდაგაველი წითელი დროსი.

მობს მთელი რესპუბლიკა, ჩვე-  
ნი ხალხი კვლავ და კვლავ სი-  
ამაყით იხსენებს გასული წლის  
სპორტულ წარმატებებს, „დი-  
ნამოს“ ფეხბურთელებს, მოჭად-  
რავე ქალთა შესანიშნავ გუნდს,  
ცალკეულ სპორტსმენებს. თანა-  
მეამაყე სპორტსმენებზე ფი-  
ქრი არასდროს შორდება საამ-  
ქროში თუ სამშობლოს ველ-  
მინდვრებზე საქმეში გართულ  
მშრომელ კაცს.  
დღეს ზეიმია ჩვენს რესპუბ-  
ლიკაში — სოციალისტური შე-

მსახურში“. გამოცდილება გვი-  
ჩვენებს, რომ იქ, სადაც შრომა  
და აქტიური დასვენება უნარი-  
ანადაა შეხამებული, მინიმუმა-  
მდგა შემცირებული კადრების  
დენადობა, მტკიცება შრომის დი-  
სციპლინაც, ესეც ხომ თვალსა-  
ჩინო დამატებითი რეზერვია  
კოლექტიური წარმატებისთვის  
ბრძოლაში. ფიზკულტურა და  
სპორტი დღეს მჭიდროდაა და-  
კავშირებული სამეურნეო და სა-  
კოლმეურნეო ორგანიზაციების  
სოციალური და ეკონომიკური

კოლმეურნეობა. ჩვენ კარგად  
ვიცნობთ ამ სოფელს. ხალხის  
კეთილდღეობისთვის ზრუნვაში  
წინა პლანზე აქ მშრომელთა  
კულტურული და სულიერი ინ-  
ტერესებია წამოწეული. სოფელ-  
ში ერთნაირი პასუხისმგებლო-  
ბით ეკიდებიან სპორტის კლასი-  
კური და ეროვნული სახეობების  
დანერგვას. სისტემატურად ტა-  
რდება მასობრივი შეჯიბრებე-  
ბი. აქ იხსნება „საიდუმლოება“  
იმისა, თუ რატომ რჩებიან ახა-  
ლგაზრდები სოფელში და რატ-  
ომ უდგანან მხარში ამაგდარ  
აღამიანებს.

დღეს ზეიმია ჩვენს რესპუბ-  
ლიკაში. დიდი და საპატიო გამა-  
რჯვების ზეიმი. მაგრამ ამ გა-  
მარჯვების შემოქმედი ხალხი  
ერთი წუთითაც არ ივიწყებს,  
რომ მიღწეული განვლილი ვტა-  
პია, რომ წინ უფრო რთული და  
მასშტაბური სამუშაო ელოდებ-  
ათ. ფიზკულტურულმა და სპო-  
რტულმა ორგანიზაციებმაც  
კარგად იციან, რომ ამ  
საზეიმო დღეებს თან ახ-  
ლავს ფიქრი მუშაობაში  
ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვა-  
ნებების აღმოფხვრისთვის. პირ-  
ველ ყოვლისა ეს ეხება საცხოვ-  
რებელ ადგილებში მასობრივ-  
ფიზკულტურული და სპორტუ-  
ლი მუშაობის ჩამორჩენას.

ახალი გამარჯვებებისთვის  
საყოველთაო ლაშქრობა კი  
ახალი წლის პირველი დღიდან  
ვე დაიწყო. მაგრამ ერთი უდა-  
ვოა — შრომის დღევანდელი  
ზეიმით აღფრთოვანებული მუშა-  
ხვალ უფრო თავდადებით და  
შემართებით იშრომებს, კოლმე-  
ურნე — მეტი ხალხით მიჰშე-  
რებს საკოლმეურნეო მინდერ-  
ებს, მეცნიერი — ამაღლებული  
შთაგონებით იღვანებს, სპორტ-  
სმენი — მეტი პასუხისმგებლო-  
ბის გრძნობით გამოვა სპორ-  
ტულ სარბილზე. თითოეულ  
მათგანს ღრმად აქვს შეგნებუ-  
ლი, რომ ერთის ღვანლი მეო-  
რისას ავსებს და იმ საერთო დო-  
ვლათად გროვდება, რომელიც  
სახელს და ავტორიტეტს უმაღ-  
ლებს რესპუბლიკას.

მაშ, კიდევ უფრო ხეავრიე-  
ლი იყოს ეს ბარაქა ქვეყნისა  
და ხალხის საკეთილდღეოდ!

## დიდ ალიარებას გვილოცავენ

ამ დღეებში, როდესაც ვზე-  
იმობთ ჩვენი რესპუბლიკის დიდ  
ალიარებას — მისთვის ზედიზედ  
მეშვიდედ სსრკ ცენტრალური  
კომიტეტის, სსრ კავშირის მინი-  
სტრთა საბჭოს, საკავშირო პრო-  
ფკავშირთა და სრულიად საკავ-  
შირო ალკმ ცენტრალური კო-  
მიტეტის გარდაამავალი წითელი  
დროსით დაჯილდოვებას, ჩვენი  
მშრომელების, სხვადასხვა ორ-  
განიზაციების მისამართით გულ-  
წრფელი მოლოცვის სიტყვებით  
გამთბარი მრავალი წერილი და  
ღებუა მოდის.

სსრ კავშირის მინისტრთა სა-  
ბჭოსთან არსებული ფიზიკური  
კულტურისა და სპორტის კო-  
მიტეტის თავმჯდომარის პირვე-  
ლმა მოადგილემ ვიჩხესლავ ზა-  
ხაინმა საქართველოს სპორტ-  
კომიტეტის სახელზე ასეთი ში-  
ნაარსის ღებუა გამოგზავნა:

„სსრ კავშირის სპორტკომი-  
ტეტი მხურვალედ ულოცავს  
რესპუბლიკის ფიზკულტურე-  
ლებს, სპორტსმენებს, ყველა  
ფიზკულტურულ მუშაკს, რომ-  
ლებმაც თავიანთი ღირსეული  
წვლილი შეიტანეს წარმოების  
ეფექტიანობის ამაღლებისა და  
მუშაობის ხარისხის გაუმჯობე-  
ლებისთვის სსრ კავშირის ეკო-  
ნომიკური და სოციალური გან-  
ვითარების 1979 წლის სახელმ-  
წიფო გეგმის წარმატებით შეს-  
რულებისთვის გაშლილ სრული-  
ად საკავშირო სოციალისტურ  
შეჯიბრებაში გამარჯვების საქმე-  
ში და რწმენას გამოთქვამს, რომ  
ფიზიკური კულტურისა და სპო-  
რტის შემდგომი განვითარება  
რესპუბლიკაში კვლავაც შეუწყ-  
ობს ხელს სახალხო მეურნეობის  
ყველა სფეროში მაღალნაყოფი-  
ერ შრომას, წარმოების ეფექტი-  
ურობის ამაღლებას, მუშაობის  
ხარისხის გაუმჯობესებას, მონა-  
ხლეობის ჩანამრთელობის შენა-  
რჩუნებას და განმტკიცებას.“

## ს ა ე რ თ ი წ ი ნ ს ვ ლ ი ს კ ვ ა ლ დ ა კ ვ ა ლ

ჯიბრების დიადი ძალის ზეიმი.  
მის ქმედითობას უნდა ვუმად-  
ლოდეთ იმასაც, რომ რესპუბ-  
ლიკაში ფიზკულტურულმა და  
სპორტულმა მოძრაობამ ახალ  
მიჯნებს მიაღწია. შარშან დიდი  
გადაჭარბებით შესრულდა არა  
მარტო ფიზკულტურულთა  
ზრდის, არამედ ნიშნისა-თან-  
რიგოსანთა და საზოგადოებრივი  
კადრების მომზადების გეგმა-  
ვალდებულებებიც. რესპუბლიკა  
ერთნაირად ამაყობს შრომასა  
და სპორტში მიღწეული მაღა-  
ლი მაჩვენებლებით, 1979 წელს  
ხომ საქართველოში მაღალი  
კლასის სპორტსმენთა სარეკორ-  
დო რაოდენობა მომზადდა.

ჩვენი ამოცანაა კვლავაც ფა-  
რთოდ გავშალოთ სოციალისტ-  
ური შეჯიბრება, რომლის მთა-  
ვარი დევიზი იქნება — „ფიზ-  
კულტურა და სპორტი — შრო-  
მისაყოფიერებისა და პროდუ-  
ქციის ხარისხის ამაღლების სა-

განვითარების პერსპექტივებ-  
თან. ამიტომაც შეაქვთ იგი სო-  
ციალისტური შეჯიბრებების ხე-  
ლმეგრულებში ცალკეულ კოლ-  
ექტივებს. ყველაზე მკაფიოდ ეს  
ფაქტი ადასტურებს ფიზკულ-  
ტურისა და სპორტის უკუგების  
დიდი მნიშვნელობას. სამაგალი-  
თოდ დავასახელოთ თუნდაც  
თბილისისა და ქუთაისის საწარ-  
მოები, სადაც ფიზკულტურისა  
და სპორტის მშრომელთა  
ყოველდღიურ ყოფაში დანერგ-  
ვით დიდად ამაღლდა შრომის-  
ნაყოფიერება. ნიშანდობლივია,  
რომ ეს ქალაქები საკავშირო  
სოციალისტურ შეჯიბრებაში გა-  
ჭარჯებულთა შორის არიან.  
ანდა, სოფლის მაგალითი ავიღო-  
თ. საკავშირო სოციალისტურ  
შეჯიბრებაში გამარჯვებულია,  
აგრეთვე, აფხაზეთის ასსრ-ის  
გალის რაიონის სოფელ ოქუმის



# «სპორტული რეზერვები» გუშინ, დღეს, ხვალ...

**1940 წლის 2 აპრილის** საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა „სპორტული რეზერვების“ სახელმწიფო სისტემა. მომავალმა მუშებმა — სპორტსაზოგადოება „სპორტული რეზერვების“ პირველმა ფიზკულტურულმა და სპორტსმენებმა მალე გამოიჩინეს თავი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებული ქალაქების, ქარხნებისა და ფაბრიკების აღდგენაში. „სპორტული რეზერვების“ შექმნიდან სულ მალე გაიმართა ამხანაგური შეხვედრები რუს, უკრაინულ, ქართველ, ქვეყნის სხვა ეროვნების სპორტული რეზერვებს შორის. ასე ჩაეყარა საფუძველი სპორტსაზოგადოების ტრადიციებს.

გავიდა დრო და სპორტული რეზერვების სახელმწიფო სისტემა გაარდაქმნა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემად, სადაც 4-6 თვის ნაცვლად უკვე 3 წელიწადს სწავლობს ახალგაზრდა, რომელიც პროფესიასთან ერთად სრულ საშუალო განათლებასაც ეუფლება. სპორტსაზოგადოებას კი დღემდე შემორჩა ძველი სახელწოდება — „სპორტული რეზერვები“.

ჩვენს საზოგადოებაში აღიზარდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორებიც არიან: მირიან ცალქალაქანიძე, ილია ლეგაშვილი, თამაზ კიხიანი, თემურ ყაზარაშვილი... მათ მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს სპორტსაზოგადოების, რესპუბლიკის სახელი. ამათ, ბევრმა არც კი იცის, რომ თბილისის „დინამოს“ ზოგიერთმა ფეხბურთელმა „სპორტული რეზერვების“ სტადიონზე დაიწყო თამაში. ესენია: რევაზ მისურაძე, ვლადიმერ ელოშვილი, აკაკი თოდრაია, ნიკოლოზ სიხარულიძე, ავთა-

**ს. რიბაშვილი,**  
პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, „სპორტული რეზერვების“ საპარტიო მდიანი

ნდლო ვარდიავილი, მიხეილ ჯოჯუა, ანდრო ზაზროვი, მიხეილ მესხი და სხვები.

დღეს ძნელია აღუხსნო სპორტსაზოგადოება „სპორტული რეზერვების“ აღზრდილებმა რამდენი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის მატაინგში, თუმცა უკვე სხვა სპორტსაზოგადოების სახელით. ეს ნიშნობს იმას — ჩვენ არა მარტო მუშათა კლასს და კომლექსურ გლეხობას ვუზრდით რეზერვებს, არამედ სპორტსაც.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სრულ საშუალო განათლებაზე გადასვლამ ახალი ამოცანები დააყენა სპორტსაზოგადოება „სპორტული რეზერვების“ წინაშე. თუ აქამდე საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და მასობრივი სპორტის განვითარება, დღეს ჩვენი ვალია დიდი სპორტსმენები აღვზარდოთ რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო კლასის სპორტსმენი, რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრების წევრი.

ამ მიმართებით უკვე გადაღმული ნაბიჯები: აღარ ჩამოვთვლი მასობრივი თანრიგების სპორტსმენებს, მათ კომპლექსის ნიშნისთვის, რომელთა მომზადების გეგმები შარშან გადამარბებით შევასრულეთ. დიდი სპორტსმენების რეზერვების აღზრდაში მოპოვებული წარმატებების საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე ციფრს: თუ IX ხუთწლიანი ყოველწლიურად ვამზადდებით 3-4 სსრ კავშირის სპორტის ოს-

**ს. რიბაშვილი,**  
პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, „სპორტული რეზერვების“ საპარტიო მდიანი

ტატს, მარტო შარშან 24 სპორტული რეზერველი გახდა სპორტის ოსტატი. თუ ვასულ ხუთწლიან სპორტსმენებს კლასის ოსტატი მხოლოდ 1 მომზადდა, ბოლო წელიწადსავე ვარსამა სპორტსმენმა მოიპოვა ეს საპატიო წოდება. გვყავს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები. მკვრამ მიღწეული, ვფიქრობ, მინც ვერ ამოწურავს ჩვენს შესაძლებლობებს.

გვინდა, რომ მეტი წვლილი შევიტანოთ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებისათვის მაღალი კვალიფიკაციის ათლეტთა აღზრდაში. ამის საფუძველი უკვე ნამდვილად გაგვიყარა — ამჟამად ჩვენს განვითარებაშია შესანიშნავი საფეროვანი ბაზა, რომელიც ამ ცოტახნის წინ გადაეცა ჩვენს სპორტსმენებს. კომპლექსში ყოველდღიურად სამი ათასზე მეტი ახალგაზრდას შეუძლია იმიდლოს ოსტატობა.

როცა სპორტული ბაზების შესახებ ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დრომდე (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ საეტილო დარბაზსა და 25-მეტრიან დახურულ საცურაო აუზს) სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს არ გააჩნდა ნაკრები გუნდებისა და სექციების მუშაობისათვის საჭირო ნაგებობა.

ბოლო დროს მდგომარეობის გამოსასწორებლად უკვე ბევრი რამ გაკეთდა: შარშან ოჩამჩირეში სპორტსმენებს საეტილოატიციოდ გადაეცათ სპორტული დარბაზი, მიმდინარეობს სტადიონის რეკონსტრუქცია; ქ. ფოთში

**ს. რიბაშვილი,**  
პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, „სპორტული რეზერვების“ საპარტიო მდიანი

აშენდა საწყლოსნო ბაზა სამოცაქციანი სასტუმროთი; რუსთაველი გაიხსნა ტილიბოის სექცია; შეიქმნა სექციები ქუთაისში, ზუგდიდში; გაუმჯობესდა მუშაობა უშუალოდ სასწავლებლებში. საშუალო-პროფესიული სასწავლებლებში სპორტული სექციების საქმიანობის გამოცხადების მიზნით პროფტექანათლების სახელმწიფო კომიტეტმა გამოყო სახსრები.

სპორტსაზოგადოება „სპორტული რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოსთან ერთად შემუშავდა კომპლექსური გეგმა პროფტექნიკურებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისთვის. დასახულია ობიექტური სასწავლებლებში ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განმტკიცებისთვის.

ვფიქრობთ, ცოტე უფრო გავეფართოვოთ და გავზარდოთ სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტული ბაზების ქსელი. 1981 წელს დამთავრდება ზამთრის სპორტული ბაზის პირველი რიგის მშენებლობა ბაკურიანში. ბაზა საექსპლოატაციოდ 1984 წელს გადაეცემა.

მაღალი დიდი საწყლოსნო სპორტული ბაზის პროექტი, რომლის მიხედვით თბილისის ზღვის ნაპირზე გაიხსნა კომპლექსის აგება დაიწყება. მომავალ ხუთწლიან მუშაობაში რესპუბლიკის დიდ ქალაქებში უნდა დაიწყეთ „სპორტული რეზერვების“ სპორტული ბაზების მშენებლობა. გვინდა, რომ სოხუმში, ბათუმში, ოჩამჩირეში, რუსთავე-




და ქუთაისში გვექმნოდეს ისეთივე სპორტული კომპლექსები, როგორიც ახლახან ავაშენეთ თბილისში.

1980 წელი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წელია. წელსვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დაარსების 40 წელი უსრულდება. ამ ორ დიდ თარიღს მიეძღვნება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპარტაკიადა, რომლის 1 ეტაპი სასწავლებლებში დაიწყო: მარტში მოეწყობა ზონალური შეჯიბრებები, ხოლო საზაფხულო არდადეგებზე ჩატარდება ფინალური ტურნირები ქ. თბილისში.

ამ თარიღებს მიეძღვნება, აგრეთვე, ალბინიად. მისთვის მზადდება უკვე შევუდგით. ალბინიად იფინსში გაიმართება და მასში 100-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენი საზოგადოების ნაკრები სპორტის მრავალ სახეობაში იასპარეზებს ცენტრალურ საბჭოს ჩემპიონატებში, ცალკეული სპორტსმენები „სპორტული რეზერვების“ საკავშირო ნაკრებების შემადგენლობებში გამოვლენ მთელ რიგ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. იმედს გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოების სპორტსმენებიც აისარებენ მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სპორტსაზოგადოება „სპორტული რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს ვადაწყვეტელი გვაქვს ყველაფერი გაგვეთით იმისთვის, რომ კიდევ უფრო სრულყოფილ „სპორტული რეზერვების“ მშენებლობა, სპორტსმენთა მუშაობა, საზოგადოება გადაეცემა ერთ-ერთი მოწინავედ, როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო მასშტაბით.



**ბადნიარ** ვარსკვლავზე დაბადებულია, ამბობენ ხოლმე იმ ადამიანზე. რომელსაც ხალხისთვის სიკეთე მოაქვს და რომელიც უყვართ ამ სიკეთისთვის...

ჩემი მოსაუბრე ათლეტური აგებულების კაცია, ცხოვრების შუაგზას მიტანებული. თეთრი ხალაით, დინჯი მიმოხვრა მიგანიშნებს: ნაყოფიერია განვლილი გზა და სათქმელიც საკმაოდ იქნება...

მედიცინის მეცნიერებთა კანდიდატი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი — ორგანიზატორი, სსრ კავშირის ჯანდაცვის ფრიადოსანი, მონოგრაფიისა და თვრამეტი სამეცნიერო შრომის ავტორი გახლავთ ჩემი მასპინძელი — პროფესორ ნ. კახიანის სახელობის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, **ჯემალ ქარუმიძე**.

საუბარი სპორტში დაიწყო და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ჯემალ ქარუმიძე სსრ კავშირის სპორტის ოსტატია კლასიკურ ჭიდაობაში, დედაქალაქის, რესპუბლიკის მრავალჯობის ჩემპიონი მონაწილე და ჭაბუკთა შორის, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ პირველობების პრინციპი.

ჭიდაობამ სკოლაში სწავლის დროს გამიტაცა. მომწონდა კუნთმავარი და ძლიერი ადამიანები, მხიბლავდა მათი შეუპოვრობა. თანაც, ვერ ვიტანდი ბიჭები ერთმანეთს რომ ჩაგრავენ; მინდოდა სუსტს გამოვსარჩლებოდი, ამისთვის მე უნდა ვყოფილიყავი ძლიერი, — იგონებს მთავარი ექიმი, — სერიოზულად ვვარჯიშობდი, ერთგვარი წარმატებებიც მქონდა. 1960 წელს, როდესაც დავამთავრე სამედიცინო

ინსტიტუტი, აქტიურ სპორტს თავი დავანებე, მაგრამ სპორტთან კავშირი არ გამიწყვეტია: სპეციალობით მუშაობის პარალელურად მოჭიდავეთა გუნდს ვწვრთნიდი რუსთაველი. ჩემმა ბიჭებმა რესპუბლიკის პირველობაში გუნდური მესამე ადგილი აიღეს...

— სპორტის სხვა სახეობით თუ იყავით დაინტერესებული? — ჭადრაკით და ფეხბურთით. ფეხბურთის სტუდენტობის დროს ვთამაშობდი და არც თუ

ამიანს ნებისყოფასაც უფროა რებს, დაავადების განკურნებაში კი ავადმყოფის მტკიცე ნებისყოფა ერთობ დიდი ფაქტორია. როგორც იტყვიან ხოლმე, ასეთ შემთხვევაში დაავადება უძლეურია ნებისყოფისა და ნამდვილი წინააღმდეგ.

— თანამშრომელთა შორის ვის დროს ხომ არ აქცევთ ყურადღებას მათი სპორტით დაინტერესებას? — ამბობენ, „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია“.

## მთავარი ექიმის აზრით...

ურიგოდ, ხშირად ვმონანილობდი ქალაქის პირველობებში ინსტიტუტის შორის. რაც შეეხება ჭადრაკს, დღესაც დიდი სიამოვნებით მივუჯდები ხოლმე საჭადრაკო დაფას.

— თქვენ დღეს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ვმსახურებთ და ბუნებრივია ავადმყოფებთან გიხდებთ ურთიერთობა. გაქვთ თუ არა აღრიცხული თქვენი ავადმყოფებიდან რამდენია სპორტსმენი და რამდენი არასპორტსმენი?

— ჩვენი საავადმყოფოს სინამდვილეში ფორმალურად ასეთი სტატისტიკა არ არსებობს. მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ — სპორტსმენი იშვიათად ხდება ჩვენი პაციენტი და თუ მაინც მოუხდა აქ მოსვლა, იგი გაცილებით ადრე გაენერება ხოლმე — ფიზკულტურითა და სპორტით გაკაფებული ორგანიზმი ავადმყოფობას იოლად ერევა. სპორტი ად-

ამიანს ნებისყოფასაც უფროა რებს, დაავადების განკურნებაში კი ავადმყოფის მტკიცე ნებისყოფა ერთობ დიდი ფაქტორია. როგორც იტყვიან ხოლმე, ასეთ შემთხვევაში დაავადება უძლეურია ნებისყოფისა და ნამდვილი წინააღმდეგ.

— თანამშრომელთა შორის ვის დროს ხომ არ აქცევთ ყურადღებას მათი სპორტით დაინტერესებას? — ამბობენ, „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია“.

ექიმისთვის აუცილებელი თვისებაა დაუმადებლად, ალალად გაუნოდოს ხელი ყოველ ავადმყოფს. დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის ყურადღებას, სითბოს. თქვენ ალბათ ამას გულისხმობდით, როდესაც „ძლიერი სული“ ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რა უფრო შედეგიანი მკურნალია — ფიზკულტურა და სპორტი, ნამდვილი თუ... თბილი, გულითადი სიტყვა? — სამკურნალოდ სამივე საშუალება კარგია, მაგრამ ამ სამი კომპონენტის კომპლექსი

უჭველად ძალიან კარგ შედეგს მოგვცემს.

— ყველაზე სასიამოვნო მოგონება თქვენი სამედიცინო და სპორტული ცხოვრებიდან.

— სულ ახალგაზრდა ექიმი ვიყავი, როდესაც სამედიცინო დახმარება ჩემს სპორტსმენ მეგობრებსა და მათ შვილებს გავუწიე. მათი ნდობა დიდი ჯილდო იყო ჩემთვის. სპორტულ ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნოდ 1957 წელს ვფიქრობ. ამ წელს სსრ კავშირის სპორ-

— თქვენი სურვილები ქართულ სპორტთან დაკავშირებით?

— ძალიან მინდა აღსდგეს ქართული ჭიდაობის ძველი ტრადიციები — ცოდვია სპორტის ამ ძველი და ლამაზი სახეობის გაუფერულება. ვისურვებდი მეტ ოლიმპიელს საქართველოდან.

— თქვენი აზრი გაზეთ „ლელოს“ შესახებ.

— „ლელო“ ჩემი საყვარელი გაზეთია და მისარია, რომ ოგი კარგად იკითხება. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, რომ სპორტის უკანასკნელი ცნობები უფრო ოპერატიულად გაშუქდეს გაზეთში.

— თქვენი ოცნება?

— ძალიან მიყვარს ჩემი სა-მუშაო და ვოცნებობ, რომ ჩემი საავადმყოფო ყოველმხრივ საუკეთესო იყოს. ამის საფუძველი არის — დღესათვის ამ-იერკავკასიაში უცხოური როდია სამამულო და უფრო იწინა-მომების უნიკალური აპარატურით აღჭურვილი ისეთი სამკურნალო დაწესებულება, როგორც ჩვენი რკინიგზის საავადმყოფოა. კიდევ იმაზე ვოცნებობ, რომ არც ერთი ავადმყოფი უქმყოფილო არ წავიდეს ჩვენგან, რომ იმრავლოს მადლობის ბარათებმა...

საუბარში სწრაფად გავიდა დრო.

გამომშვიდობებისას უნებურად გამახსენდა სადღაც ამოცნიებული თუ გაგონილი სიტყვები: „ბედნიერ ვარსკვლავზეა — დაბადებული ის კაცი, რომელსაც ხალხისათვის სიკეთე მოაქვს“...

დაიხას! **ლალი ცხვარაძე.**

● ფეხბურთი

# სტუმართა უპირატესობით

თასების ფეხბურთის მატჩები

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 5 მარტი.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 0:2 (0:0).

„დინამო“: გონტარი, ლოვჩივი, ნიკოლინი, მახოვიკოვი, ბუზნოვი, პეტრუშინი (ლატიში), რეზნიკი, მინაევი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, გაზაევი.

„ნანტი“: ბერტრან-დემანი, აიაში, ტიუსი, რიო (ბიბარი), ე. ტროსერო, ბარანელი, ვ. ტროსერო, მიშელი, პეკუ, რამპიონი, ამისი.

მსაჯი: უ. ერიქსონი (შვედია).

გოლები: ტიუსი (57-ე წ.), პეკუ (86).

გაფრთხილებული არიან ტიუსი, ვ. ტროსერო, მიშელი.

ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ამ ეტაპზე მოსკოველ დინამოელებს „ნანტი“ სახით სერიოზული მეტოქე პყავდათ. „დინამო“, რა თქმა უნდა, გულმოდგინედ ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის, მაგრამ როგორც მატჩმა გვიჩვენა, მართლმოდებდა ცოტას ნიშნავს ფეხბურთში. ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობის წყალობით ფრანგმა ფეხბურთელებმა

დაამაჯრებელ გამარჯვებას მიიღვეს.

შეხვედრის დასაწყისი მოსკოველთა ტერიტორიული უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ იმის გამო, რომ მათი იერიშები ერთფეროვანი, ნაკლებ ეფექტური იყო, ტერიტორიულმა უპირატესობამ ბევრი გერაფერო სარგებლობა მოუტანა „დინამოს“. ამასთან, შეტევების დამამთავრებელ სტადიაში ერთობ სცოდავდნენ თავდასხმელები.

„ნანტი“ იოლად ვაათანაბრა თამაში და ტიუსის ბოლომდე მშვილად იკავდა თავს.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა, როგორც ჩანს, იგრძინეს, რომ მე-

ტი შეეძლოთ და უფრო გაბედულად შეუტეეს გონტარის კარს. „ნანტი“ კონტრშეტევები არც ისე ხშირი იყო, მაგრამ ფრანგი ფეხბურთელების ყოველ გამოჩენას მეტოქის საჭარბოში სახიფათო სიტუაცია მოსდევდა. ერთ-ერთი ასეთი სწრაფი შეტევა 57-ე წუთზე ტიუსის ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა.

„დინამოს“ სპასუხობ იერიშებს შედეგი არ მოჰყვა. მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კი სტუმართა მორიგი კონტრშეტევის შემდეგ პეკუმ მეორედ აიღო მოსკოველთა კარი — 2:0.


ბ. ირემაძე.

## თაგაუი რუმ ბანკსლა

კისლოვოდსკი, 5 მარტი (ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ე. ახმელოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩში გადაღებული პარტიების დამთავრების დღე იყო. მეტოქეებს გადაღებული ჰქონდათ ორი პარტია. ისინი ჯერ პირველის დამთავრებას შეუდგნენ.

ი. როგორ წარმოებდა იგი:

ბ. ახმელოვსკაია



ბ. ახმელოვსკაია

41. ...d8 (ჩაწერილი სვლა) 42. c6+ მფ7 43. ...d5 c7 44. მფ2 მფ6 45. c4 მფ6 46. ...h6 47. b3 მფ7 48. h4 მფ5 49. ...b4 h5 50. d2 მფ4 51. ...b4 მფ6 52. c5 მფ5 53. d4 მფ7 54. c3 მფ6 55. d2 მფ4 56. მფ3 მფ5+ 57. მფ2 მფ4 58. ...მფ3 მფ6 59. c3 მფ5 60. ...h5 მფ6 61. c6+ მფ7 62. მფ3 a5 63. a4 h4 64. ...h5+ მფ6 65. h4 je5 66. d2 მფ6 67. c6+ მფ7 68. h5 მფ7 69. ...c4 მფ5+ 70. მფ3 მფ4 71. ...მფ5 მფ6 72. c2 მფ5 73. d2 d3 74. h6+ მფ8 75. c4 მფ6 75. მფ4 მფ4 77. მფ4 მფ7. შავები დანებდნენ.

ქართულ იდიოსტატიკს ორი უპირატესობამ თამაშის სადავეები მიცა, მაგრამ მოგება ადვილი არ იყო. ალექსანდრია მოთმინებით, არაა ხანს იდობა მეტოქის, ამოწმებდა მის დაცვით შესაძლებლობას. ამასობაში ორივე (კარტინოროში მოქცეა. 59-ე სვლაზე ახმელოვსკაიამ უზუსტოდ ითამაშა და მუქარის მოგერიება გაუჭირდა.

შემდგომ ალექსანდრიამ შეძლო გამსვლოვი პაიის შექმნა. მაგრამ მეტოქე იხიდა იდენტურში აღმოჩნდნენ და კრასნოარსკეული იდიოსტატიკი გრადი შეიკა. ალექსანდრიამ პაიის მოიგო და ახმელოვსკაიამ ფარ-ხმალი დაყარა. პარტია თითქმის ხუთ საათს გრძელდებოდა. ამიტომ მეორე პარტიის სათამაშოდ დრო აღარ დარჩა და მსაჯთა კოლეგიამ მისი დამთავრება 7 მარტს დაინიშნა.

### გუჟინი

თბილისსა და კისლოვოდსკეში მეოთხედღიანლურ მატჩებში III პარტია გაიმართა. 5. გაფრთხილებული — ნ. გუზრეილის პარტია გადაიდო მწვერი პოზიციაში, რომელშიც გაფრთხილებულს ზედმეტი პაიი აქვს. ე. ახმელოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მესამე პარტია გადაიდო. ალექსანდრიას მძიმე მდგომარეობა აქვს. დღეს ორივე მატჩში IV პარტია უნდა შედგეს. თბილისში თერთმეტ გუზრეილი ითამაშებს, კისლოვოდსკეში — ახმელოვსკაია.

## სსრ კავშირის თასზე

I ზონა. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ფაქელი“ (გორონევი) 0:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუბინოვი) 2:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „უზბანი“ (კრასნოდარი) 1:1. „მეტალისტი“ 4 ქულა აქვს, „ზენიტი“, „უზბანი“, „სპარტაკი“ და „ფაქელი“ — 3-3.

II ზონა. „ზარია“ (გოროვი-ლოვრადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:3, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:2, „შახტიორს“ 6 ქულა აქვს, „ჩერნომორეცს“ — 4.

III ზონა. „დინამო“ (კიევი) — „დნეპრო“ (დნეპროპეტროვსკი) 3:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:3, „კარპატი“ (ლოვოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 3:0.

ლიდერობენ კიევის დინამოელები და ლოვოვის „კარპატი“ — 6-6 ქულა.

IV ზონა. „ქაირათი“ (ალმათა) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:0, „ტროპელო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 1:3, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (ოდესა) 1:0.

დაწინაურდნენ თბილისის დინამოელები — 6 ქულა. „ქაირათმა“ დააგროვა 4 ქულა.

V ზონა. „თერგი“ (გროზნო) — „დინამო“ (ლენინგრადი) 0:0, „დინამო“ (მინსკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:0, „ნეფთიჩი“ (ბაქო) — „ქალგირისი“ (ვილნიუსი) 3:2.

პირველ ადგილზე 6 ქულით იმყოფება ბაქოს „ნეფთიჩი“, მინსკის დინამოელებმა დააგროვეს 5 ქულა.

VI ზონა. „ისკრა“ (სმოლენსკი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0, „არარატი“ (ერევანი) —

„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „ტროპელო“ (მოსკოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0.

„არარატი“ დააგროვა 6 ქულა, ხოლო მოსკოვის ტროპედოელებმა — 5.

VII ზონა. ასკ (დონის როსტოვი) — „გურია“ (ლანჩხეთი) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ცსკა 0:1, „პამირი“ (დუშანბე) — „კოლხოზიჩი“ (აშხაბადი) 1:0.

ცსკა-ს 6 ქულა აქვს, როსტოველებს და „პამირს“ — 5-5.

VIII ზონა. „დინამო“ (სტავროპოლი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:1, „ალაგა“ (ფრუნზე) — „ბუსტონი“ (ჯიხაიკი) 1:0.

„ტრაქტორს“, „ბუსტონს“ და „ფახთაქორს“ 3-3 ქულა აქვთ.

### ● ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი



„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლოვოვი) — 5:3.

„დინამო“ (თბილისი): მ. გიორგაძე, კურტანიძე, ზუმბულაძე, ისელიძე, რურუა, არუთიუნოვი, დლომიძე. მათ გარდა თამაშობდნენ — ხეცურიაიანი, კოლუაშვილი და კუტივაძე.

„დინამო“ (ლოვოვი): ზინკევიჩი, ბელოვი, პოლმაჟევი, სტარუხევი, პროკოპჩუკი, სმირნოვი, კრავცოვი. მათ გარდა თამაშობდნენ — ბერენდიაუკი, გურინი, კოსტიუკოვი და სატულოვსკი.

მსაჯები: ე. ტროიცი (მოსკოვი) და რ. ესოიანი (ერევანი).

თამაშის წინ, როცა თბილისელთა განაცხადი გადავითვალთვინებ, წინა მატჩებთან შედარებით ერთმა ცვლელმა მიიტყვია ჩვენი ყურადღება. „მინდარის“ მოთამაშის გვასარიას ნაცვლად სიაში შეირაქა მეიარის — ტურკაძის გვარი ამოვიკითხეთ. როგორც ჩანს, მასპინძლები დაიმედებულნი იყვნენ იმდენ გამარჯვებაში და ანგარიშში საგრძნობი უპირატესობის მოპოვებისთანავე კარში ალბათ მეორე მეიარეს დააყენებდნენ.

ისე, როცა რომ თქვას, ამ მატჩში ლოვოელთა მედგარ წინააღმდეგობას ალბათ არაფერ იგონდა. სტუმრებმა თბილისში გამართული შეხვედრებიდან ერთადერთი გამარჯვება მოიპოვეს და ისიც ტურნირის აუტსაიდერთან — ფოლოვარადის „სპარტაკთან“. მაგრამ მასპინძლებთან შეხვედრაში პერიოდი პერიოდს ისე მისდევდა, რომ თბილისელთა კარში არა და ვერ ვიხილოთ მეორე მეიარე.

ვიდრე IV პერიოდის მიწურულს ანგარიში 5:3 არ გახდა თბილისელთა სასარგებლოდ, ძნელი იყო ამ მატჩში გამარჯვ-



კ ა ლ ა ალგარტს ხ ნ ა ვ ს

ბულის გამოცნობა. ლოვოელებს ასეთი მედგარი წინააღმდეგობის გამოჩენაში, ცოტა არ იყოს, ისევ მასპინძლებმა შეუწყის ხელი. სხვათა შორის, თბილისელები, რომლებიც ამ მატჩამდე ყველა შეხვედრაში გამოიჩინებდნენ პერიოდების დასაწყისში ბურთის ხელში ჩაგდებას, ლოვოელებთან ასეთი უპირატესობით ვერ დაიქანდნენ. მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ მიიღვეს მიზანი.

ბუნებრივად, მეტოქეთა კლასში აშკარად ხელშეწყობები განსხვავება იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. მათ ყველაფერი გამოსდიოდათ, როგორც იტყვიან, გოლის „მომწიფებამდე“. მაგრამ, როცა გადაწყვეტილი მომენტის დებოდა, ან კარგადნენ ბურთს, ან ტყუარცნა უზუსტოდ იყო. ასეთი მომენტი ბარი 12-მდე დაეითვალეთ. აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ტაბლოზე ხშირად ვხვდებით საყარბო შედეგებს: 1:1, 2:2, 3:3.

ნათქვამია, ძალია აღმართს ხნაეს. თბილისელებმა, როგორც იქნა, საკუთარი თამაში იპოვეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: კურტანიძემ (2), კურტიაძემ, ისელიძემ და რურუამ. სტუმართაგან — პროკოპჩუკმა (2) და სატულოვსკიმ.

ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი მეიარე გიორგაძემ, რომელმაც რამდენიმე ძლიერად და სახიფათოდ ნატყარცნი ბურ-

თი მოიგროვა. ხოლო ერთხელ პენალტიც აიღო.

თბილისელებმა შინ გამართულ მატჩებში ზედხედ სამი შეხვედრა მოიგეს. ახლა მათ 14 ქულა და სპარბო ათგოლისთვის ბრძოლის შესანიშნავი შანსი აქვთ. იმედია, გადაწყვეტი შეხვედრებამდე (ხომებერი) დაჩინდნენ დროს, ჩვენი წყალბურთელები უქმად არ დაკარგავენ.

ბ. ბურბასაშვილი.

### ● კიუბო

#### ოპროს მედლით დაბრუნდა

მამუა ძიუდოსტა საკავშირო პირველობაში წარმატებით იასარბო სპორტული პროგრესის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელმა მ. ჯაჭვავაძემ (68 კგ, მწვერთელი ა. ელიბაშვილი). მან ყველა შეხვედრა მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა.

### ● ფეხბურთი

#### სრიალი

#### ბ. შამყულაშვილის მესამე ადგილი

იშხვსაში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთულ სრიალში. ერთეულ ვაქთა შეჯიბრებაში, კორგალ გამოვიდა თბილისელი გ. შამყულაშვილი. ვიტყობინებოდით, რომ საკვლევებულ და მოკლე პროგრამის შემდეგ იგი III ადგილზე იმყოფებოდა. შამყულაშვილმა ეს პოზიცია შემდეგში შეინარჩუნა და საბოლოოდ III საპრიზო ადგილი დაიკავა — 165,14 ქულა (ადგილების ჯამი 27). იგი განსაკუთრებით კარგად ასრულებდა სამმაგ ხტომას, მაგრამ იმის გამო, რომ მის კომბინაციებს დინამორბა აკლდა, შამყულაშვილმა უფრო მაღალი ადგილის მოპოვება ვერ შეძლო. მას აქვს მხოლოდ მოსკოველმა ვ. რასჩეტრემა — 170,38 (11) და უკრაინელმა ბ. უსპენსკიმ — 169,14 (16).

სპორტულ ცეკვებში უძლევერესი იყო უკრაინის ლუბტი — ნ. კარამიშევა და რ. სინციანი — 156,06 (7).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ, ლენინგრადი, მოსკოვი, უკრაინა, სვედლოვსკის ოლქი, საქართველო.

### ● კალათბურთი

#### გოლო ვაკაი დაიწყო

გუშინ მოსკოვში განახლდა ვაქთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში. თბილისის დინამოელები მოსკოველთან კლუბულ შეხვედრებს და დამარცხდნენ ანგარიშით 76:93. კალათბურთის „ქალგირისმა“ მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს“ — 98:85.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ბ ა კ უ რ ი ა ნ ი - 80



სპარტველოს სამთოგობრილამურათა პირველობა ახალგაზრდებს შორის

...სხენი სულხანიშვილს ცრემლი ეყინებოდა ლოყაზე. მართლაც, დასანანი იყო — მთელი წლის ნამაგარი ერთბაშად წყალში ჩაეყარა. ბიჭუნამ მშვენიერად აიღო გიგანტური სლოლომის სტარტი, ტრასაზეც (სიგრძე 1000 მეტრი, 35 კარი) დამაჯივრებლად მოდიოდა — სწრაფად, შეიკრძობოდა... მაგრამ ზეი ფინიშის წინ მოკლოდნელად დაეგახა ერთ-ერთი მწვრთნელი (იგი შედახილით ამხნევიდა მოწაფეს). სუბი წაიქცა, დანადგოიანდა მწვრთნელი, ტიროდა მოწაფე, მამისი აწყნარებდა გულამოქცარს. არაფერმა უშველა — განმეორებით სტარტი სუბისათვის გაცილებით უარესი გამოდგა.

ეს შემთხვევა, შეიძლება ითქვას, გამოწვევის იყო და ტიპურიც. გამოწვევის იმიტომ, რომ ასეთი რამ ამ შეჯიბრებაზე

სძლია თანაგუნდელ ნუცა ალიკისი. მესხიშვილს (2.59,52) და დინამოელ დალი მიქაბერიძეს — 2.59,74.

იჭი არაღის ეპარებოდა დინამოელი პირველთაწიგოსნის. 16 წლის გია დიკონაშვილის წარმატებაში, გიამაი არ გააწვილა „თბონენები“ — ორივეჯერ საუკეთესოდ დაეშვა (69,90 და 69,44) და ჩემპიონობა დაიმსახურა უფროსი ასაკის ბიჭებს შორის — 2.19,34. II და III ადგილებზე ასევე დინამოელები გავიდნენ — პაატა გელაშვილი (2.28,41) და ანდრო მიქაბერიძე (2.29,24).

უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტი შანსი „მეორე გიამა“ — წაღვირის საშუალო სიკალოს მე-8 კლასის ფრანდოსან მოსწავლეს, 14 წლის გია ორჯონიძეს („შრომითი რეზერვები“)

განათლების სამინისტროს მწვრთნელს შალვა ჯონანაშვილს.

**ზ. ბაზა:** მზია მიქაბერიძე, რომელსაც მე-3 წელს ვაგარშიშვილი, ნიჭიერი, მონდომებული გოგონაა, ბეგრს მოუშობს. ნიჭისმიერ შეჯიბრება მისთვის დიდი სპორტული ზეიშია. მისი ერთ-ერთი „ნაკლია“ ის, რომ... ძალიან განიცდის წარუმატებლობას. თბილისელები ბოკრია და ალიკისი-მესხიშვილი სპორტის ოსტატ სეიტაშვილს ნასყიდაშვილთან ვარჯიშობენ. ცდილობენ ყოველი დიდი ნაყოფიერად გამოიყენონ, დახვეწონ ტექნიკა, გაზარდონ სისწრაფე. ორივე პერსპექტიული სპორტსმენია, ძალიან უყვართ თბილისელები. 3 წელია სტაბილურად ასპარეზობენ და ძირითადად ერთმანეთს იცილებიან პირველობას.

**ზ. კოხანაშვილი:** მწვრთნელებს დიდი იმედი ჰქონდა ორი გიამა — დიკონაშვილის და ორჯონიძისა. პირველ გამოცდილი სპორტისტი შოთა კოხანაშვილი მწვრთნის, მეორეს — ახალგაზრდა ალიკისანიძე სკოტონიანი, დიკონაშვილი 10 წლის ასაკიდან ვარჯიშობს. იყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ბიჭებს შორის. წლიურად კარგად გამოვიდა საკავშირო პირველობის II ტურში (სლაესკში) და III-IV ტურებში (ბაკურიანში), სადაც, როგორც იცით, ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა. იმედი, დიდი შეჯიბრებებზე მეტ გამოცდილებას შეიძენს და თირსეულად განაგრძობს წარსულში ჩიენი რესპუბლიკის ცნობილი სამთოგობრივამურაგების მიხეილ გაგას, იბრაჰიმ განაგობეგის, გერა აბრამიშვილის სახელოვან ტრადიციებს. რაც შეეხება მის უმცროს მეგობარს — გია ორჯონიძეს, ისიც, რომ იტყვიან, თბილისელებისა და ბადაღბულის. სპორტის ეს სპინტრესო სახეობა გიამა შეყვარა მამამისმა, რომელიც თვითონ კარგი სპორტსმენია და სამთო თბილისელებს ენთუზიასტი. ნორჩ სპორტსმენს კარგ თვისებებს მონაკვირები აქვს, ნიჭი და მონდომება არ აკლია. წლიურად საკმაოდ დახვეწა ოსტატობა. ცხადია, მას ჯერ იდრე საკმაოდ ბეგრ შრომა სჭირდება, მიქაბერიძესთან, სანაკოვთან, გაგასთან, კოხანაშვილთან, დიკონაშვილთან ერთად ჩართული სამთო-სათბილისელო სპორტის ლიდერობა რომ იტვირთოს.

მეტი ყურადღებანი მამაკაცებში!

ძალთა სავრთავროსო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილ თბილისის სპორტკლავის ყურადღების ცენტრში იყო ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ხელბურთელთა შეჯიბრება. ინტერესს ის აღვივებდა, რომ ორივე გუნდში თანაბარი რაოდენობით გამოდიოდნენ საკავშირო სპორტკლავზე VI ადგილებზე გამოსული ჩვენს რესპუბლიკის ხელბურთელთა ნაკრებების წევრები. ამის გამო დანარჩენ სამ გუნდს — უნივერსიტეტს, ზოოვეტერინარულ და სამედიცინო ინსტიტუტებს მხოლოდ III ადგილები უნდა ეფიქრათ. ამ ამოცანას ყველაზე კარგად გაართვეს თავი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ხელბურთელებმა. მათ ფავრიტებთან დამარცხების შემდეგ მოუგეს უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის გუნდებს და III ადგილი დაიკავეს. I ადგილისთვის ბრძოლა უშედეგოდ

წარიმართა. პოლიტექნიკოსები უფრო მობილენებულნი აღმოჩნდნენ და საბოლოოდ ანგარიშით 17:15 სძლიეს მეტოქეს.

პირველად მიმდინარეობდა შეჯიბრება სპორტკლავებს შორის. აქ ყველა მეტოქეს ადვილად გაუმკლავდა „უშა“ — ანგარიშით 24:15 დაამარცხა „მეგობრობა“, 24:3 — „ივერია“, 23:16 — „განთიადი“ და I ადგილს დაეუფლა. II და III ადგილებზე შესაბამისად დიკავეს „მეგობრობამ“ და „განთიადმა“. ერთ ფაქტზეც უნდა ითქვას: პირველი შეხვედრები მამაკაცებმა იმსახურა, მაგრამ უკვე მეორე დღიდან სათაფრე ადარ გავეყარებინა შეჯიბრებას. ამის გამო მთავარი არბიტრი ს. გიორცილავა იძულებული გახდა რადენიმე თამაში თვითონვე ემსახურო ხოლო ზოგიც შემთხვევითი მსაჯებისთვის მიენდო.

**ზ. კახიანი.**

ცრემლები და სიხარული

პირველად მოხდა ტიპური იმიტომ, რომ სამთო-სათბილისელო სპორტში საქართველოს ჩაბრუნება და გოგონების პირველობის მონაწილეობა იმედიანი მონდომებითა და სკოლისკურთხებით იბრძოდნენ ბაკურიანის ტრასებზე. ახარებდათ საკუთარი და მეგობრების ყოველი გამარჯვება, ყოველი „შეიკრიკო“ მეიასელი წამიც იმ, ამასთან, საკმაოდ მწვავედ განიცდიდნენ სულ მცირე წარუმატებლობას.

ბოლო დღეებში ზამთრის ამ ცნობილი კორტის (ამ შუბლი შეიკრა — ყინავდა, თოვდა, ქარი ქროდა და კოხანაშვილის სიამაოდ იყო. ილი დღეები როდი დაუდგათ ნორჩებს.

80-მდე მთბილისელები გამოვიდა ზამთრის სეზონის ამ ერთ-ერთ უკანასკნელ შეჯიბრებაში. ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა: 1964-65 (უმცროსი ასაკი) და 1966-67 (უმცროსი ასაკი) წლებში დაბალბოლოათ.

გოგონათა შორის უფროს ასაკში ტოლი არ ჰყავდა ბაკურიანის საშუალო სკოლის მიცხრიალა-სკოლს, პირველთაწიგოსან მზია მიქაბერიძეს („დინამოს“). ორივე ტრასის გაგლისას მან აბსოლუტურად საუკეთესოდ დრო აჩვენა (76,25 და 78,74) და სავრთო შედეგით 2 წლით და 34, 99 წამი პირველობა მოიპოვა. II იყო იკახედელიძე — 3.20,91, III — თამაზ ბერიშვილი (ორივე — „ბურევესტიკი“) — 3.36,42.

უმცროსი ასაკის გოგონებში 14 წლის თბილისელები მოსწავლე მეთი ბოკერიამ („ბურევესტიკი“) — 2.58,47) მწვავე ბრძოლაში

პქონდა. ეს ვარაუდიც გამართლდა. ორჯონიძემ თანაბრად გაიარა ორივე ტრასა (70,67 და 70,55) და გამარჯვებაც იხილა — 2.21,22. II შედეგი აქვს 13 წლის გიორგი ხაზარაძეს („ბურევესტიკი“) — 2.30,94, III — ნორჩ სპორტკლავ მალხაზ უდესიანს — 2.45,45.

სენაკიდან არც მეორე დღემ მოგვიტანა, როდესაც ნორჩები სპორტკლავის სკოლაში (280 მეტრი, 52 კარი) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. წინა დღის ლაურეატები კვლავ გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ჩემპიონი მხოლოდ უმცროსი ასაკის გოგონათა ასპარეზობაში შეიკვალა. ამჯერად ალექსი-მესხიშვილი (2.05,28) სძლია ბოკერიას (2.10,48). დ. მიქაბერიძე კვლავ მესამე იყო (2.16,07). უფროს ასაკში პირველი, სამედიცინო ასე განაწილდა: მ. მიქაბერიძე — 1.53,02, ნორჩ თარჯიანი — 2.08,83 და ნესტან გვიჩიანი (ორივე — განათლების სამინისტრო) — 2.20,76.

უმცროსი ასაკის ბიჭების შეჯიბრებაში გამარჯვებული გ. დიკონაშვილის შედეგია 1.37,24. დინამოელები სერგო ბანდური (1.46,57) და ა. მიქაბერიძე (1.46,82) შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ. უმცროს ასაკში გამარჯვებულმა გ. ორჯონიძემ 1.55,21 აჩვენა და უკან მოიტოვა თეზო ჯაფარიძე (განათლების სამინისტრო) — 2.01,27 და გიორგი სულაბერიძე („ბურევესტიკი“) — 2.01,50.

საქართველოს 1980 წლის ნორჩი ჩემპიონების შესახებ მოკლე კომენტარები ვთხოვეთ „დინამოს“ მწვრთნელს ზირა გაგას და

ოლიმპიური კრებამით

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირში აზიას 3 საგზური აქვს დათმობილი. ამ კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციამ გადაწყვიტა შესარჩევი ტურნირი 3 ჯგუფად მოაწყოს.

პირველად ბრძოლას შეუდგნენ III ჯგუფის გუნდები: ირანი, ინდოეთი, შრი ლანკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სინგაპური და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (აღსანიშნავია, რომ ფიფას გადაწყვეტილება იმ ფეხბურთელთა თამაშის აკრძალვის შესახებ, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატებში გამოდიოდნენ, აზიას არ ეხება).

ტურნირი მიმდინარეობს სინგაპურში. პირველი შედეგები ასეთია: ირანი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 0:0, სინგაპური — შრი ლანკა 3:0, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — ინდოეთი 1:0.

II ტურში ფრედ ითამაშეს ჩინეთისა და ირანის გუნდებს — 2:2. ლიდერობა ხელთ იგდეს სინგაპურელებმა, რომლებმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ინდოეთის გუნდი.

აფრიკის კონტინენტზე ნათამაშევი ფინალური ტურნირის პირველი მატჩი, ეგვიპტელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ზამბიის გუნდი.



„ოქროს გუნდის“ პრაგმატიზმი

ვინ არის სადღესოდ „ოქროს გუნდის“ პრეტენდენტი გერმანიაში? ყველაზე მეტი გოლი (22) გატანილი აქვს ვან დერ ბე-რას (იგი ბელგიის „ლიერსში“ გამოდის, მონაწილეობა მიიღო 24 მატჩში). მას მოჰყვებიან შანზერი (თამაშობს „აუსტრიაში“) — 20 გოლი 18 მატჩში, ისლანდიელი პეტრუსონი (თამაშობს როტტერდამის „ფეიენოორდში“) — 20 გოლი 23 მატჩში, ლანსე (ლუქსემბურგის „უნიონი“) — 18 გოლი 14 მატჩში, კოლმანსი (ბელგიის „ბრიუსელი“) — 18 გოლი 24 მატჩში და ბოიერი (ინგლისის „საუთჰემპტონი“) — 18 გოლი 29 მატჩში.

იქივად ღაფავა

მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ბომბარდირი და საფრანგეთის ერთ-ერთი ნაკრების ყოფილი მთავარი ეთესტ ფონტენი, რომელიც აქამდე მაროკოს ნაკრებს ხელმძღვანელობს, ავტოკატასტროფაში მოხვდა.

მომავალი კიხანი

ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა, ინგლისელმა კევინ კიგანმა ბოლო ხანებში მუსიკალურ სამყაროშიც სცადა ბედი. ახლან განაგრძობს მისი მეორე გრამფირფიცა „ინგლისის“. ეს არის ბალადა ჩემს ქვეყანაზე, სადაც მე მალე დავბრუნდები. — თქვა კიგანმა. მისი პირველი ფირფიტა „მარშან გამოვიდა, გაიყიდა 350.000 ეგზემპლარად.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი  
ა. წერეთლის გამზირი № 2  
7 მარტი

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასი „დინამოს“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიძე) დასაწყისი 16 ს. 30 წ. ბილეთები გაიყიდა 7 მარტს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალონებში. მალაშია 1979 წლის ყოველგვარი საშვი.